


კვირა, 12 ივლისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე | № 28 — 1915



**მ. კავსაძის გუნდის დამკვრელთა დასი ი. სალირაშვილის თაოს-ნობით**

1, მენაღარე ერ. ბიჭაშვილი, 2, მედაირე-მომღერალი ნ. კავსაძე, 3, მე-თარე ი. სალირაშვილი და 4 მეჭიანურე—თავ. ლუარსაბ ჯანდიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხეილის ქ. № 131

საუცხოვო საზაფხულო როტონდით, სცენით და მშვენიერი, ელექტრონით განათებული, ბაღით.

| | |
|---|---|
| შაბათს, 11 ივლისს | ორკესტრი |
| კვირას, 12 ივლისს: | მანდოლინისტების გუნდი |
| ორშაბათს: 13 ივლ. | სინემატოგრაფი; საზანდარი |
| სამშაბათს 14 ივლ. | ორკესტრი |
| ოთხშაბათს 15 ივლ. | სინემატოგრაფი და ორკესტრი |
| ხუთშაბათს 16 ივლ. | საღამო, სიმებიანი ორკ. და მანდალ. გუნდი |
| პარასკევს 17 ივლ. | წარმოდგენა |
| შაბათს, 18 ივლ. | ორკესტრი |
| კვირას 19 ივლ. | მანდოლინისტების გუნდი |

**დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.**

შესავალი ფასი: მამაკაცნი იხდიან, —30 კ. ქალები და სტუდენტები—15 კ.


---


## ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

подъ редакціей **„РАМПА и ЖИЗНЬ"** Л. Г. Мунштейна (LoIo)

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись.—Скульптура.

Съ 1-го іюля по 1-ое января 1916 г.—3 р. 50 к.

Съ роскошно-иллюстрированной преміей

**ГАЛЛЕРЕЯ СЦЕНИЧЕСКИХЪ ДѢЯТЕЛЕЙ** (томъ I) 5 руб.

Адресъ конторы: Москва, Богословскій пер., (ул. Б. Дмитровка), д. 1. Тел. 2-58-25

Можно подписываться по телефону 2-58-25. Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботъ отъ 12—3 часовъ дня. ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печковской (Петровскія Линіи), въ книжн. магазинѣ: „Новое Время" (въ Петроградѣ, Москвѣ и провинц. городахъ), въ музыкальн. магазинахъ В. Бессель и К°. (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ. (Москва—Петроградъ.) Л. Издиковскій (Кіевъ) и во всѣхъ книжныхъ магазинахъ г. Москвы и провинціи.

Цѣна объявленій впереди текста—75 коп., за строку петита, позади текста—50 к. (4—1)

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

**№ 28**

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 28 | კვირა, 12 ივლისი | 1915 წ.

## 12 ივლისი

**მრავალი გზით ერთი მიზნისკენ!**

დადგა დრო, როდესაც სიტყვა საქმედ უნდა ვაქციოთ: ჩვენს ეროვნულ გამთელებას ხელი შევუწყოთ...

არა მხოლოდ მწერლობით, ქადაგებით, ყოველგვარი საქმითაც, რითაც ჩვენი ხალხის წყლულთ ემკურნალება...

დღეს დიდი სიფხიზლე გვმართებს, დღეს, როდესაც ჩვენთა ძმათა — ქართველ მაჰმადიანთა მწარე ხვედრი, — ბინადრობის განადგურება და ჩვენთან დაახლოვების სურვილი, — თავისკენ მიგვიწოდებს ..

ფულიანი ხალხი თუ ქონებით შეეწევა, მაღლა მდგომი, გავლენიანი პირნი გარდახვეწილთათვის მამაპაპათა ბინაზე დააბრუნებენ, ანუ შეეცდებიან მათის მამულ-დედულ-კარმიდამოს ხელუხლებლად შენახვას, ჩვენს თეატრსაც ფართო სამოქმედო ასპარეზი ეშლება...

ხალხთა გამაერთიანებული, ურთიერთთან დამაახლოვებელი რომ, სხვათა შორის, სცენა, დრამატიული ხელოვნებაა, — ეს ვინ აღარ იცის?

ქართული სკოლისა და მწერლობის გავრცელებაზე ქართ. მაჰმადიანთა შორის ჩვენ იმდენი საზრუნავი არც კი გვაქვს: მთელმა სამაჰმადიანო საქართველომ თავისი სამშობლო — ქართული ენა იცის, ქართული სკოლების გახსნას თვითონვე თხოულობს და რაკი სკოლები ექნება, რაღა თქმა უნდა, ქართულ მწიგნობრობასაც დაეწაფება...

უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ქართველ მაჰმადიანთა შორის სამშობლო თეატრის დაარსებას, მშობლიური ცოცხალი სიტყვისა და სულის ტაძრის დაფუძნებას, — შესაფერი რეპერტუარით.

ამიტომ საჭიროა ქართველმა დრამატურგებმა ამ საგანს ყურადღება მიაქციონ, დიდებული ძველი მესხეთის წარსული და აწმყო შეისწავლონ და საჭირო პიესები დასწერონ...

დაე, ქართველმა მელპომენამ აამეტყველოს ქართველ მაჰმადიანთა წინაპრების სულნი, უჩვენოს რანი ყოფილან, რანი არიან და რანი უნდა იყვნენ...

ურიგო არ იქნება, თუ ქართ. დრამ. საზ. გამგეობა, პიესების შერჩევის გარდა, პრემიას დანიშნავს ქართველ მაჰმადიანებში დასადგმელ პიესების ავტორთა დასაჯილდოვებლად...

არც ქართველ მსახიობს ჰმართებს მცონარეობა: თავისი ერის გამათვითცნობიერებელი როლი კიდევ ერთხელ უნდა შეასრულოს!..

დრო გვთხოვს მრავალი გზით ერთი მიზნის მისაღწევად მუშაობას და მაშ ნუღარ დავაყოვნებთ!..

—

**კაცობრიობის უკვდავნი შვილნი**

ადამიანთა უთვაცხოვრება თვალ გაუვალ წყვდიადს, ჯოჯოხეთს დაემსგავსებოდა, ბნელში ჩავლულთ ყამასიყამად გზის მანათობელნი რომ არ მოევლინებოდნენ ხოლმე...

კაცობრიობას ჰყავს რამდენიმე უკვდავი შვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მათგანია იან ჰუსი, ჩეხელთა გამაერთიანებელი დიდებული მამულიშვილი, თავისი ჩაგრული ერის მოსარჩლე—გამოფხიზლებელი, სიმართლისათვის მტკიცე მებრძოლი, საკუთარი რწმენისა და დამოუკიდებელ აზროვნების დამცველი, რომელიც ხუთასი წლის წინად საჯაროდ ცეცხლში დასწვეს...

ჰუსი იყო უბრალო გლეხის შვილი. დიდის მეცადინეობის შემდეგ პრაგის უნივერსიტეტში შევიდა, დროის შესაფერი განათლებით აღიჭურვა, პირველად მღვდლად ეკურთხა, შემდეგ ღვთისმეტყველებ ის პროფესორად გამწესდა, ბოლოს—უმაღლესი სასწავლებლის რექტორად და უფრო დამოუკიდებლად, გაბედვით დაიწყო თავის ერის სასარგებლოდ მოქმედება და ქადაგება..

შავ-ბნელი იყო მისი დრო—საშუალო საუკუნოები..,

თავისუფალი აზროვნება იდევნებოდა, ჭეშმარიტი სარწმუნოების ნაცვლად ფარისევლობა და ანგარება პარპაშებდა...

ცოდო-მადლი ოქროთი იყიდებოდა...

რაც უნდა დიდათ შეეცოდნა ქრისტიანს, სამღვდელოების შემწეობით შეეძლო თავი „გამოეხსნა“ აგრეწოდებულ „ცოდვათა მიმტევებელ მოწმობის“ (ინდულგენციის) სყიდვით.

ასეთი „ცოდვათა მიმტევებელი ქაღალდებიც-კი, პაპის ლოცვა-კურთხევით, მრავლად იყიდებოდა საშუალო საუკუნეთა ევროპაში სხვადასხვა ფასად. .

ჰუსმა დაჰგმო ყოველივე ეს, აშკარად გაილაშქრა კათოლიკეთა ეკლესიის ცრუ რწმუნებათა წინააღმდეგ..

ამის გამო გაბატონებულმა ეკლესიამ იგი სამსჯავროში გაიწვია, განსაჯა და 1415 წ. 6 ივლისს საჯაროდ ცეცხლზე დასწვა.

მაგრამ მისმა დაწვამ უქმად არ ჩაიარა: მთელი ერი გააფხიზლა, გააერთიანა..

დღეს მისს სახელს მოწიწებით იხსენიებს ყოველი ჩეხელი და წმიდათა წმიდათ გულს ჩაუხუტნია...

ასეთ დიდებულ მოაზრე-მებრძოლთა ხსოვნას არც სხვა ერნი დაივიწყებენ და ყოველი ჭეშმარიტი მებრძოლი ჰუსის თავგანწირულების მაგალითით აღიგზნება...

# ნაწყვეტები

## ა. ორი შეხვედრა

ერთხელ გნახე, ტურფავ, ბაღში
ყვავილთ შორის—ჩემსკენ ჰქროდი..
ხელში ვარდის ბუჩქი გეპყრა
და ზედ გრძნობით დამღეროდი!
უცხო ჰანგით მოხიბლული
ყურს ვუგდებდი იმ სიმღერას;
ლ-ლ ფრთებს შლიდა აღმაფრენა, —
უმატებდა გული ძგერას!..

განვლო დრომ—და იმავ ადგილს
გნახე, ტურფავ, სევდიანი,—
ხელში მჭკნარ ვარდს დასტიროდი
უსასოო, ცრემლიანი!..
და დავლონდი.. მწუხარების
სახმილი გულს მედებოდა
და შენს მკობელს, სევდით აღვსილს,
თვალნი ცრემლით მევსებოდა! .

## ბ. ელეგია

ყველა იცვლება.. დღე ღამესა სდევს
და საუკუნეს—საუკუნენი,
წყვდიადს თანა სდევს სინათლე დღისა
და ტანჯვას—წუთი სიამის მფენი!..
დღეს თუ იცინი—ხვალ ცრემლს დააფრქვევ
და მწუხარებას სცვლის სიხარული...
ხოლო სამშობლოს ნაღველს, კაეშანს
არ უჩანს ბოლო და დასასრული! .

## გ. წარმავალობა

რა რიგ ჰშვენოდა წალკოტს ყვავილი!..
ციური ნამი ფოთლებზე კრთოდა...
ტრფობის მგოსანი შვებით აღვსილი
საგაზაფხულო ჰანგებს მღეროდა!..
აცივდა. . ზამთრის მსუსხავმა სუნთქვამ
გათოშა მდელო, დააზრო ველი...
დასჭკნა ყვავილი!.. და წალკოტშიაც
გამეფდა გლოვა, სევდა, ნაღველი!..
და შენც ასე ხარ, ჩემო იმედო!..
დღეს იშვებ, ხარობ, სიცოცხლით სტკბები,—
ხვალ კი სიკვდილი შეგახებს ცივ ხელს,
და ჭია-მღილთა მსხვერპლი გახდები!..

ვ. გორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



**იან ჰუსი კოცონზე** (1369—1415) ჩეხელთა დიდებული მამულიშვილი, მქადაგებელი და რეფორმატორი. 6 ივლისს ხუთასი წელიწადი შესრულდა, რაც ცეცხლზე დასწვეს. (იხ. წინა წერილი „კაცობრიობის უკვდავნი შვილნი“).

# На свободу!

ვინ იცის რამდენი წლები გაატარა მან საპყრობილეში.

ვიდრე ჭაბუკი იყო, გატაცებით ითვლიდა მიმავალ დღეებს, იმედის თვალით გაჰყურებდა მშობლიურ ცა-ხმელეთს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი დაივიწყა, ყოველივე მოჰბეზრდა: აღარც საჭმელი, აღარც სეირნობა .. იწვა-გულაღმა და ჩუმად, უდრტვინველად ელოდდა სიკვდილის აჩრდილს.

—

დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა იგი ცივსა და ხავს მოკიდებულ ბნელ ჯურღმულში.

— На свободу! — გაისმა მისი განთავისუფლების ხმა და რკინის კარებიც გაიღო.

— На свободу! — ნეტარებით იმეორებდნენ დანარჩენი ტუსაღები.

— На свободу, на свободу! მხიარულად გუგუნებდნენ ციხის დაყურსებული კედლები. ის კი, ჩუმად, უძრავად იწვა მტვერ დადებულ ნამჯის ხმელ ლეიბზე და დიდრონი, საშინლად გაფართოვებული ცივი თვალებით უაზროდ შესჩერებოდა ობობებისაგან დაქსელილ ჭერს.

ყველასაგან დავიწყებული სიცოცხლე მხოლოდ სიკვდილსღა მოჰგონებიყო და საუკუნოდ გაენთავისუფლებინა ტყვეობიდან.

**გ. ქუჩიშვილი**

# ნუ გჯერა!

I

. მიყვარხარ, ჩემო ლევან... მიყვარხარ. .

— რომ მიღალატო და მომატყუო?

— ვიყო წყეული და შეჩვენებული!..

— მართლა, თეო?.. მაშ გულწრფელია შენი სიტყვები?.. ნუ დამღუპო, უკანასკნელად გიმეორებ და გთხოვ, არ მიღალატო. კარგად დაფიქრდი. შენც თამარის გზას არ დაადგე... ხომ იცი იმან რა ჩაიდინა, როგორ უღალატა საყვარელ სატრფოს?.. თუ არ გიყვარვარ წრფელი გულით, დაშორება ახლავ სჯობია. მე შენს სიყვარულს გულში ჩავიკრავ... თუ ეს ვერ შევძელ, ამავე გულით გატარებ ყველგან... ხოლო ღალატს და მოტყუებას კი ვერ ავიტან... გული ერთი მაქვს... ერთი. .

ეუბნებოდა ლევანი თეოს ცაცხვის ძირში. და ცაცხვის გარდა ღამის გუშაგიც მოწმე იყო შეყვარებულთა სასტიკი ფიცის.

— ოხ, ღმერთო!.. რა ვქნა!.. — იყო პასუხი: სჩანს არ გიყვარვარ... მაშინ მეტია ჩემი ფიცი... უბედური ვარ, უბედური... თავს დავიხრჩობ... გრცხვენოდეს, ლევან.. —

ქვითინებს თეო და ფუნთუშა ლოყებს უსველებს ცრემლი.

— ახლა კი მჯერა.. ჩემო თეო!.., წრფელი გულით გყვარებივარ... ბედნიერი ვარ, ბედნიერი ..— გაიმეორა კრძალვით ლევანმა და საყვარელი არსება გულზე მიიკრა..

— მიყვარხარ. . ლევან... მიყვარხარ.. მიყვარხარ...

— მჯერა .. მჯერა . ჩემო... თეო .. მ...ჯ...ე...რ.. ა ..

ცხარე კოცნით ალგზნებულ ტუჩებს სულგანაბული უსმენდა ცაცხვი.

— ნუ გჯერა... ნუ...

შრიალი შექმნეს ცაცხვის ტოტებმა.

— ნუ გჯერა...

ბადრმა მთვარემც სტყორცნა ლევანს ვერცხლის ისარი, რომელიც ცაცხვის ხშირ ფოთლებში მოხერხებულად გაძვრა და თეოს ხუჭუჭა თმაში გაიხლართო.

— ნუ გჯერა... ნუ გჯერა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნესით გასძახა ცაცხვის კენწეროში მჯდომმა ბულბულმა და უცებ დაჩუმდა.

— ნუ გჯერა.. ნუუუ...

გაისისინა იქვე მახლობელი მთიდან გადმოვარდნილმა სიომ, გახურებული ქალ-ვაჟის სახეს წამით გაჰკოცნა, თეოს დაშლილი თმა ლეოს სახეს შემოაცალა და მინდორველად გასრიალდა, გაინავარდა.

— ნუ... გჯე..რა... ნუ... გჯე...რა... ნუ... გჯე...რა...

გაჰქონდა ლევანის გულს ბაგაბუგი, ისე მაგრად, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა... მაგრამ ლევანს არაფერი აღარ ესმოდა .. გრძნობას გონება დაემონა... ლალის ვერ ტუჩებს აღგზნებული მისი ტუჩები მაგრად ეკონა...

## II

გავიდა დრო. თეო და ლევან ისე ცხოვრობდნენ როგორც ცოლქმარი...

— ჯვარს როდის ვიწერთ? შენ ხომ ჩემი ხარ? რაღას უყურებ?!—ეუბნებოდა თეოს ლევანი.

თეო ნაზობდა. ბოლოს დათანხმდა.

ჯვრის წერის დრო დანიშნეს. სიმონმა თავისი მეგობრებიც კი მოიწვია, მაგრამ... ჯვრის წერის წინადღით თეო უეცრად ძმამ წაიყვანა და ლევანი სახტად დასტოვა!..

— ნუ თუ მღალატობს, უარს მეუბნება!., ამდენი ვალი მისით დავიდე!.. ცხოვრებ-ს აწი მისით ვფიქრობდი .. რა შვაშია აქ მისი მშობლები, ან ძმა, ან დები!? ქვეყანამ იცის, რომ მე მას ცოლად ვირთავდი .. დღეს კი... ოხ, ღმერთო! უმისობა არ შემიძლია, არა...

ცხარე ცრემლებით სტირის ლევანი...

## III

ლევან და თეო საღამო ჟამს მდინარის პირას მისეირნობენ მდინარე წყნარად მიბუტბუტებს; საღამოს მზის სხივს გულში იხუტებს, ისევე ვით სატრფო შეყვარებულს, მაგრამ მოუსვენარ ცქრიალა სხივებს დიდხანს ვერ იჭერს. მდინარე მისთვის სულაც არ დარდობს და ჩვეულებრივად ნაზი ბუტბუტით თვის გზას განაგრძობს.

— თეო! მითხარი, მოვსტყუვდი შენში თუ სიზმარში ვარ? რად გამექეცი და მიმატოვე, ნუ თუ სხვა გიყვარს? მითხარი, თეო? —გულის კანკალით ეკითხება საყვარელ თეოს მისი საქმარო, უფრო კი ქმარი...

თეო ჯერედ სდუმს. თუმცა იღიმის და ამ ღიმილში „ბროლის ღიმილში“ დაცინვა მოსჩანს,..

— მითხარი, თეო, ხომ არ დამცინი?! უმეორებს ღელვით ლევანი.

— დიაღ, სხვა მიყვარს... ცხოვრება თურმე ცვალებადია...თუმცა ამავ დროს შენც ქე მიყვარხარ და მინდა შენთანაც...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ტყვიისა ხმაზე თეო წაიქცა და... ლევანის მკერდიც სისხლმა შეღება...

— მეც მა...რა... შე...ნ...ც.·. დაიხრიალა დაკლულ ხარივით, ერთხელ გახედა დამღუპველ სატრფოს და თავისსავე სისხლში სული დალია.

მკვლელობის ალაგს ხალხი შეგროვდა.

მსუბუქად დაჭრილი თეო მშობლებს მიჰგვარეს, ლევანის გვამი კი საავადმყოფოში წაასვენეს ამხანაგებმა.

## IV

რომანიული დრამა გაზეთებმა ასე აღნიშნეს: „ქ· №-ში, ნაშვადღევის ოთხ საათზე, ლევან მინდაშვილმა რევოლვერით დასჭრა საცოლო და თავიც მოიკლა. მისი დაკარგვა ხალხისათვის სამწუხაროა, ვინაიდან ლევანი იყო შეგნებული, პატიოსანი. ყოველგვარ კეთილ საქმეს გვერდში ედგა და ხალხის გათვითცნობიერებაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. მშრომელმა მასამ მასში დაკარგა საუკეთესო დარაჯთაგანი და მოამაგე. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო და სიტყვაც უთხრეს ამხანაგებმა.“

გავიდა ძლივს ერთი კვირა და შემდეგ რა ვნახე იმავ გაზეთში: მინდაშვილს სახალხო ბანკიდან, რომელიც მას ებარა, ფული უხარჯავს ბანკის გამგენი პასუხის გებაში მისცეს.“

— „ქალი წყეული, ქალი ასპიტი, ქალს შეაჭამა უბედურმა და ბოლოს თავიც შესწირა!“ - იძახის ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლები მოსთქვამენ შვილის დაკარგვას, მის ორჯერ სიკვდილს... ხალხიც დიდათ სწუხს.

თეო რას შვრება?

სულ სხვაზე ფიქრობს.. თუმცა დაჭრილი გონს რო მოვიდა—ლევანი იკითხა:

— არ მომკვდარა—ო, უთხრა ექიმმა— არ შეზნევდესო, იმან იფიქრა. მაგრამ მოსტყუვდა.

— „სამწუხაროა. . რატომ არ მოკვდა". .—უსიამოდ დაიღრიჯა ლევანის სატრფო.

ექიმი მიხვდა თავის შეცდომას, ნათქვამი სიცრუე განგებ ნაფიქრი, უცებ შესცვალა სინამდვილეზე და ლეოს სიკვდილი თეოს ახარა...

**ს. რემონიძე**

# დასის მოღვაწეობა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 27)

პეპელას ძმა ფოსტაში მსახურებდა უმცროს ტელეგრაფისტად და ის იყო ამ ქალის დედაც, მამაც, მზრუნველიც და ყოველივე. ადრე დაობლებულმა პეპელას ძმამ ხერგომ თვით გაუწია პატრონობა პატარა პეპელას და მის მომყოლ ძმას. პეპელას ქალთა უფასო სკოლა დაასრულებინა და ძმას დიდის ვაინარჩობით ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა. ამიტომ ორივ და-ძმის ბედ-იღბალიც მას ეკითხებოდა.

შეთქმულები მაინც თავისას ადგნენ და უფრო სოსოს იმედი ჰქონდათ. იცოდნენ, რომ სოსოს პეპელას ძმა სერგოც პატივსა სცემდა და პეპელაც ჩვეულებრივის თავაზიანობით ეპყრობოდა. ამიტომაც სოსო წაიმძღვარეს წინ და ერთ დილის რეპეტიციაზე განზე გამოიხმეს პეპელა.

პეპელას სახეზე რაღაც დამკრთალი სიხარული ეწერა.

— თქვენთან მოსალაპარაკებელი გვაქვს. —დაიწყო სოსომ.—მაგრამ ეგ რა მოგსვლიათ? რამ აგაღელვათ?

— წარმოიდგინეთ, რეჟისორის ბრძანებით დღეს ანიკოს როლი მივიღე „სოფლის გმირებში."



ქართველი მაჰმადიანი
**სულეიმან ეფენდი დიასამიძე**
ბათომის გიმნაზიაში კურს დასრულებული, უმაღლეს სასწავლებელში მიდის უმაღლესი განათლების მისაღებად.

— ეგ რომელი პიესაა?—იკითხა ანდრომ. ვარლამმა აუხსნა, რომ ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდიდან" გადმოკეთებული პიესა იყო.

— როგორ? ჩვენი პრიმადონა აღარ თამაშობს?—შეიკვირვა სოსომ.

— ჰმ, ეტყობა არ იკადრა!—პასუხი გასცა ვარლამმა.—მარგარიტა გოტიეს შემდეგ ანიკოს როლი რაში მოეწონება!

— როგორ, კაცო?—იკითხა ისევ ანდრომ —განა მაგისთანა ძნელი როლია?

— არ გახსოვს, კაცო, რომ წაგვიკითხეს ამას წინად... ბოლო მოქმედება, ანიკოს ჭლექით სიკვდილი ძალიანა ჰგავს მარგარიტას სიკვდილის სცენას.

— მაგას რა ესხომება!—ღიმობიერის კილოთი წარმოსთქვა სოსომ—მაგას ხომ პიესის მოსმენა არ შეუძლია..

— ოო, ეგ ხომ თითქმის ყველა ჩვენი მსახიობის ნაკლია.—ჩაერია ვარლამი.

—რა ვქნა, გენაცვა!—გამოტყდა ანდრო: რეჟისორი რომ თავის სიტყვით მეტყვის პიესის შინაარსს, ათს წილად მირჩევნია. უფრო გავიგებ ხოლმე. ისე კი მო თმინება არა მყოფნის, რომ მთელი სამი ოთხი საათი მშრალ კითხვას ყური დავუგდო. თავშიაც არაფერი შედის. ან მეძინება, ან...

სოსომ ღიმილით, მაგრამ მაინც საყვედურით თავი გაუქნია.

— ჰო და წარმოიდგინეთ, ამ როლს მე მაძლევენ... პირდაპირ ნუცა ჩხეიძის როლია. რა ვქნა, რა მეშველება არ ვიცი.

თითქმის ტირილის კილოთი ამბობდა პეპელა, მაგრამ ეტყობოდა გული გამოუცნობელის სიხარულით უცემდა.

— მერე რისა გეშინიანთ... ეს ძალიან კარგი შემთხვევაა..—უფროსის კილოთი ამხნევებდა სოსო.—თქვენც უნდა ეცადოთ, რომ სიძნელე სძლიოთ. აკი იცით, რომ ჩვენ სკოლა არა გვაქვს და პირდაპირ სცენა გვწვრთნის... თქვენთვისაც ეს ძალიან კარგი გაკვეთილია... მოინდომეთ, ეცადეთ... თუნდა მთლად ვერ გაიმარჯვოთ, მაინც ბევრს რამეს შეგძენთ მაგ როლის შესრულება.

— არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი!

მაინც წუწუნებდა პეპელა. სოსო კი განაგრძობდა:

— ესე ყოფილა მუდამ... ყველგან, ყოველს თეატრში... თვით ჩვენი ბუმბერაზებიც ეგეთი გაუბედავის ნაბიჯით მიდიოდნენ წინ, სანამ უნარისა და შრომის ძარღვები არ გაუმაგრდათ და მტკიცედ არ დადგეს ფეხი...

— ანდრო ბედიანი!

სწორედ ამ დროს გაისმა რეჟისორის თანაშემწის ხმა. ეძახოდენ როლის მისაღებად. კიდევ ბევრი გამოიწოდა რეჟისორის თანაშემწემ. ამასობაში კი სოსომ და ვარლამმა გაუზიარეს თავის გულის ნადები პეპელა გუბაზოურელს და იმდენი ეცადნენ პრინციპიალურათ დაითანხმეს, კიდეც უკეთუ მისი ძმა სერგოც ნებას დართავდა.

ვარლამის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სამოგზაუროდ უკვე ნახევარი საქმე გაკეთებული იყო. მაგრამ ამ დროს მასაც დაუძახეს სამეცადინოთ.

ბუკუმელი

(შემდეგი იქნება)

# ღამის მგოსანი

## (გალაკტიონ ტაბიძის ლექსები)

„მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს
სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის
თეთრმა ღამემ.
იცის—როგორ დავრჩი ობლად, როგორ
ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე.
მე და ღამე!“

**გ. ტაბიძე**

ფსიხოლოგიური მხნობა ისე არაფერს არ აჩენს, როგორადაც ხელოვნებას. ხელოვნება თავისუფლების და ინდივიდუალურ სიძლიერის თვისებებს თავისივე მე-ში ფარულად უგელგან ატარებს. თავისუფალი ხელოვნება,—აი რა ესაჭიროება უპირველეს ყოვლისა ქართველი ერის შემოქმედებას. ეს პრინციპი კი, ისეთი სიძლიერით არავის არ უგრძვნია და დაუცავს თანამედროვე მგოსნებში, როგორც გრიშაშვილსა და გ. ტაბიძეს. თუმც პირველი ხანდისხან „იდუნება წნორის ხესავითა“, მაგრამ იგი მაინც ბოლომდის, სიცოცხლით სავსე შეუვარებულ ჭაბუკად რჩება, რომლის ფართე გული შიგ იტევს ხავერდოვან საქართველოს მშვენიერ ქალწულთა სილამაზეს. მეორე კი განმარტოვებით მდგომარე, მსოფლიო საკითხებს თავს დასტრიალებს, მოშორებია ამ ვიწრო ცხოვრებას ემპირიულს და ღამის ჩადრში გახვეული, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე კითხულობს „სისხლის წვეთით დაწერილ შავ წიგნს“ მსოფლიო გაუგებრობაზე.

მაგრამ მსოფლიო ისეთი გულჩათხრობილი და გამოუცნობი სფინქსია, რომ მრავალ მგოსანს აუხმაურებია ჩანგის სიმები და დაუღვრია მწველი ცრემლები მის წინაშე; მაგრამ ცივი, გამოუცნობი სფინქსი სდგას, ბურუსით მოცული და მწველი ცრემლები მგოსნისა, მეისვე აშრებიან მის ცივ საიდუმლოებას. ჭაბუკი მგოსნის ლაღ ოცნებას ფრთა ეჭრება, აღფრთოვანება მისი დუნდება, იმედი ცივ მიწაზე ერთხმება და მღელვარე სული იმედ-დაფერფლილ მგოსნისა სიკვდილს უხმობს, რომ სამარადისოდ მიეფაროს „ლურჯი ბურუსით“ მოცულ სამარეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები..
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავ-ბნელი ფრთები.“

მაგრამ ასეთი სასოწარკვეთილება მწუხარე მგოსნისა, არ არის გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიმღერა გედისა, არამედ მის სისხლით დაწერილ ლექსებში იდუმალად კიდევ გაისმის მელოდიური ლოცვა მწირისა, სიცოცხლის მომცემ ზევსისადმი. მგოსნის იმედ-დაკარგული ლოდინი სიკვდილისა ნაყოფია მშრალი გონების და არა გრძნობის მიერ ნაკარნახევი. ამ იდუმალ ინსტინქტს, მგოსანი აშკარავებს უფრო დიად გაზაფხულზე.

გაზაფხული, რომელიც ყველაზე უფრო აგრძნობინებს მგოსანს, და სიცოცხლის სიმშვენიერეს, სიმბოლოა დაუღგრომელი მოძრაობის; ამ დროს ყველაფერი აჩქარებულის ტემპით მოძრაობს: ფრინველნი თვის აღფრთოვანებას გამუდმებულ სიმღერა-ჭიკჭიკში აშკარავებენ, მცენარე იშორებს ცივ მიწას საბურავად და გულდიად შესთამაშებს მზის სხივებს, სიცოცხლის მომცემს. მთელ ამ საერთო მოძრაობაში, შეხმატკბილებული ჰიმნია ჩაქსოვილი სიცოცხლის სიმშვენიერისადმი, და მჭმუნვარე მგოსანს „სიკვდილის გზაზე თრთოლვით მიმავალს, ვიდაც ეძახის სიცოცხლისაკენ.“ ამ იდუმალ ხმაში, რომელიც ჩაქსოვილია მგოსნის ფარულ ფსიხიკაში, იმალება აზრი სიცოცხლისა, რომელიც მხოლოდ ირრაციონალურ სამოსელში თუ მჟღავნდება. და მგოსანმაც იგრძნო იგი ფარული ძალა, რომელიც უკიდურეს სასოწარკვეთილების დროს უხატავს სიცოცხლის გრძნეულ სიმშვენიერეს. ამ დროს იგი მძლედ განიცდის სინამდვილის აზრს, „ყოფნის მგმობელი“ კვლავ ურიგდება საატიკ ცხოვრებას და მისი სიცოცხლის საიდუმლოებით დატვირთული ჩანგი, სოციალურ სიდუხჭირის ხმებს გამოსცემს:

„სიმღერავ, უხმე დაღლილ-დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს
მარადამი კიდევ აქვს სიყვარული.“

**მიხ. აბრამიშვილი**

(შემდეგი იქნება)

---

# სახალხო სცენის მუშაკნი



სცენის მოყვარე
**მარ. დ. ჭანკვეტაძე**

ხუთმეტი წელიწადია, რაც ყვირილაში სახალხო წარმოდგენების საქმეს ერთგულად ემსახურება. ღარიბი გლეხის შვილი უმეტესად თვისით განვითარდა. 1900 საკუთარი თაოსნობით საქარაში გამართა პირველი ქართული წარმოდგენა, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო უფასოდ. ამ დროიდან ყვირილაში არ გამართულა ისეთი საქველმოქმედო, სახალხო ანუ იაფფასიანი წარმოდგენა, რომ მ. ჭ-ძეს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. ამ მოკლე ხანში გაიმართება მისი 15 წ. სასცენო მუშაკობის პატივსაცემი წარმოდგენა. **ოლ. ბ—ძე**

---

## ვ . . . ს

(თავისუფალი თარგმანი ინგლისურით)

პაწია წყარო მდინარეს ერთვის,
მდინარე ზღვისკენ მიეჩქარება,
ქარი ქვეყნის გარს დაჰქრის, დაქშუის,
დიად ბუნებას ეალერსება.

— —

დახე ბულბულსა—ვარდსა შეჰხარის
ია ნარგიზსა გარდახვევია,
ვარსკვლავთა გუნდი მზისკენ ისწრაფვის,
განგებას ეგრე გაუჩენია!

———

მთვარისა შუქი ზღვის ტალღას ჰკოცნის
და არე-მარეს—ზღვისა სხივები;
რას ვაქნევ ალერსს, კოცნას მათ შორის,
შენ თუ კი მე არ მეამბორები!..

**ი. მ.**

# უდროო მსხვერპლი



**მსახიობი ალექსი ალექსიძე (ქურდოვანიძე)**
1891—1915

ჩვენი სცენის უნუგეშო მდგომარეობამ კიდევ ერთი უდროო მსხვერპლი შეიწირა.

3 ივლისს თბილისში ჭლექით გარდაიცვალა სულ ახალგაზდა, სამშობლო სცენის თავგამოდებით მოსიყვარულე მუშაკი, ალექსი ალექსიძე (ქურდოვანიძე).

მართალია, იგი ცნობილი მსახიობი არ იყო, მაგრამ რამდენათაც სახელოვნებით პატარა იყო, იმდენად უფრო დიდათ უყვარდა სცენა და ერთგულად ემსახურებოდა, რითაც კი შეეძლო...

კულისებს უკან ბევრი სამუშაოა, ათასგვარი წვრილმანი საქმე, რომელთა ამღსრულებელს მაყურებელი საზოგადოება თითქო არც კიამჩნევს, მაგრამ ამ პატარა მუშაკთა უიმოდოთ-კი „დიდი ვარსკვლავნიც“ ისე ვერ იბრწყინვებდნენ...

ასეთი იყო ალექსიძე: ყველა დიდ მსახიობთა თანამსახური, ხელის შემწყობი, პატარა როლების მოხდენით აღმასრულებელი...

ჩვენი სცენის სიამაყეს, ლადოს, შეუმჩნეველი არ დარჩა ეს პატარა მუშაკი და მოწაფედ აიყვანა, რომელსაც თავისი სურათიც უძღვნა შემდეგი საკუთარი წარწერით:

„ჩემ ახალგაზრდა პატარა მოწაფეს ალექსიძეს სახსოვრად. შეხედე ხოლმე ამ სურათს და მოიგონე, რომ მხოლოდ ერთგული მუშაობა, მეცადინეობა მიგვაღწევინებს მიზანს. ვისაც არ უყვარს სცენა მშობელი დედასავით და ძალა არ მოზდევს მას თავი ანაცვალოს—მას ნება არა აქვს ამ ტაძარში შესვლისა. სცენას ისეთივე ერთგულება უნდა, როგორც საყვარელ არსებას. **ვლ. ალექსი მესხიშვილი**“.

პატარა ალექსიძეც მტკიცედ ასრულებდა ამ დარიგებას და რომ დასცლოდა და აზპარეზი მისცემოდა, თავის მოძღვრის იმედს გაამართლებდა კიდეც: ამის ნიშნებსაც ვხედავთ—1913-14 წ. ბათომის დასში მსახურობის დროს რამდენიმე საპასუხისმგებლო როლი, სხვათაშორის ბარენტი „იმედის“-დაღუპვაში“, დიდის აღგზნებით შეასრულა, ასევე ნიჭიერად განასახიერა თელავში პატარა კახი, „გულჯავარიდან“, რითაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა,—მაგრამ ულმობელმა სენმა, ჭლექმა, უდროოდ ბოლო მოუღო 24 წ. ჭაბუკს.

სიღარიბე, ხელმოკლეობა, ცხოვრების გვერდ თავის თავის მიჩნევა, და ბოლოს—საკუთარი კერის უქონლობა, რამაც ბევრ მსახიობს აუბნია გზა-კვალი,—აი ხვედრი ჩვენი სცენის მუშაკთა, რამაც ალექსიძეც იმსხვერპლა...

მიწამაც გემსუბუქოს, სცენის სიყვარულით გატაცებულო ჭაბუკო... ვინატრით მომავალ თაობას მაინც ასცდენოდეს შენი ხვედრი!..

**იოსებ არიმათიელი**

* *
*

გაფითრებული შევყურებდი შენს ნათელ სახეს;
საიმქვეყნიო ნეტარებით მიცემდა გული.
მიწიერ გრძნობას მიყუჩებდა შენი სიმშვიდე..
თვით სათნოება იყო შენში გამოსახული..

* *
*

მუხლი მოვდრიკე შენს წინაშე, ხელი აღვაპყარ,
დიადი გრძნობა სასოების ველარ დავფარე:
ცრემლი მდიოდა... ვქვითინებდი.. ამდროს უეცრად
მომიახლოვდი და შემახე ბაგე მთრთოლვარე...

* *
*

ოჰ, უმადურო! რად მინდოდა მე შენი კოცნა?
ნუ თუ გეგონა მაგას გთხოვდი თვალცრემლიანი?..
ვაჰ, წარკვეთილო სასოებავ!.. მე სხვა მეგონე
და შენ კი თურმე იყავ მხოლოდ ადამიანი...

**კ. ჭიჭინაძე**




ჯ. კ.-ხამმელი **ილ. ნახუცრიშვილი** გაკაწრული. აი, მისი წერილი: „ჩემს პატარა სამშობლოში სახსოვრათ ჩემი სურათი. ეს სურათი არის გადაღებული ქ. ლომჟოში რუსისა და გერმანიის ომში 1915 წ. 12 თებ. და სხ...



**ავადმყოფი მგოსანი ვაჟაფშაველა წმ. ნინოს ქართველთა ლაზარეთში და მისი მომვლელნი მოწყალების დანი.**

(თეატრი და ცხოვრებისთვის“ საგანგებოდ გადაღებული ფოტ. ევ. ქვანიას-მიერ).

თვეზე მეტია ლოგინად წევს. ავადმყოფი ძალზე დასუსტებულია, შეცვლილი, თვითონ თავს კარგად გრძნობს. მნახველნი ბლომად დაიარებიან. განსაკუთრებით ასიამოვნებს ბავშვების ნახვა. 6 ივლისს შეამოწმეს ექ. ი. გომართელმა, სპ. ვირსალაძემ, ვლ. მახვილაძემ, შ. მიქელაძემ და გრ. მუხაძემ. ექ. მუხაძემ მარჯვენა ფერდში წყალი გამოუშვა (ამითი მეორედ). ავადმყოფს ხანგრძლივი მოსვენება დასჭირდება. ლაზარეთში ორ კვირამდე დარჩება, შემდეგ აგარაკზე გაგზავნიან სადმე.

# მ წ ი რ ი - ს ა რ დ ა ლ ი

(გაგრძელება. იხ. თ. და ც.“ № 27)

## მოქმედება მეხუთე

ხეებით დაჩრდილული მინდორი. წინ, რამდენსამე ადგილას, მსხვილი ხის კუნძებია. უკან, მარცხნივ მოსჩანს მაღლობზე მდგარი ერისთავის სასახლე ქვიტკირის გალავნითა და კოშკებით. მარჯვნივ იწყება სოფელი. ზოგი ხის კუნძზე, ზოგიც მიწაზე სხედან სოფლის დედაკაცები, ხელსაქმობენ და ლაპარაკობენ. შემოდის ნელის ნაბიჯით, გრძელის ჯოხით ხელში, თვალებ გაშტერებული, გამხდარი და გაფითრებული მართა; ცოტა მოშორებით მოჰყვება მანანა. დედაკაცები გაიგონებენ ფეხის ხმას, დაინახავენ მართას, შეკრთებიან და, შეშინებულნი, ელიან. მართა მოდის, დააცქერდება დედაკაცებს, შემდეგ გატრიალდება, დაჯდება მოშორებით და, თითქო გაქვავებულიაო, ერთ წერტილს მიშტერებული, ზის უძრავად.

**მანანა** (მოდის დედაკაცებთან და ღიმილით)
რამ შეგაშინათ, თქვე საცოდავნო?..
ველარ დარწმუნდით ამდენი ხანი,
რომ შეშლილია, მაგრამ მშვიდია
და უწყინარი ადამიანი?..

**1 დედაკაცი** (ღიმილით) აბა, რა ვიცით,
შე კაი ქალო,
რომ მოუაროს მოულოდნელად
და დაგვიშინოს თავისი კეტი,
გაგვაცხებინა ხომ სული ხელად?..

**მანანა** (დაჯდება) რას ამბობ? არამც
თუ ადამიანს,
ბუზს არ აწბილებს და ჭიანჭველას:
დადის თავისთვის აგრე უსიტყვოდ
და აცქერდება მხოლოდ სუყველას!

**2 დედაკაცი** (თანაგრძნობით) ეძებს ვისმე
თუ, ეგ უბედური?

**მანანა** ეძებს საბრალო!

**2 დედაკაცი** ვისა, მანანა?

**მანანა** ვის და თავისს შვილს. როგორ
შეერყა
საწყალს გონება არ იცი განა?..

**2 დედაკაცი** არა; გვიამბე, შენი ჭირიმე!

**3 დედაკაცი** ეგ ხომ იმ დღიდან არის
შეშლილი,
ჩვენი ნინო რომ ცოლად შეირთო
და სარდლად გახდა მაგისი შვილი?

**მანანა** სწორედ იმ დღიდან. ჯერ არ
უნდოდა,
რომ მონასტრიდან წამოსულიყო,
ბავშობიდანვე მწირად გაზრდილი,
და ერისკაცად კვლავ გამხდარიყო;
მაგრამ როდესაც ვერ-რა გააწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გივიმ მისი არ დაიჯერა,
დათანხმდა; მხოლოდ ისურვა, იმ წამს
ნინოზე ჯვარი მას დაეწერა
და სიხარულით თვითვე შეუძღვა
მეფე-დედოფალს თურმე საყდარში;
მაგრამ, ისინი რომ ჯვარს იწერდნენ,
უცებ, შეშლილი, გავარდა კარში:
გივი ჯვარს იწერს და ეს ამბავი
შევატყობინო უნდა ჩემ ქმარსო;
უნდა ვახარო მთელ ქვეყანასა,
გაუზიარო მთასა და ბარსო!..

**2 დედაკაცი** (ცისკენ) დიდება შენდა,
უფალო! მერე?

**მანანა** გაიქცა თურმე და უგზო-უკვლოდ
ტყეში გარბოდა და ხარხარებდა
და დადევნებულთ უკან მსახურთა
სიახლოვესაც არ იკარებდა;
ვიდრე ღრმა ხევში არ გადავარდა
და ცოცხალ-მკვდარი არ ააყენეს
და სასახლეში თავგატეხილი
და გონმიხდილი არ მოასვენეს!..

**2 დედაკაცი** მერე?

**მანანა** სამი დღე იყო უგრძნობლად
და, თუმც საბრალო სიკვდილს გადარჩა,
როგორც უყურებთ, ასე შეშლილად
და თანვე თითქო ყრუ-მუნჯად დარჩა!..

**2 დედაკაცი** (ცისკენ) დიდება შენდა
უფალო!..
(მანანას) შვილმა
შეიტყო ომში წასვლამდის?..

**მანანა** არა,—
ისე წავიდა მაშინ საომრად,
რომ არაფერი გაუგია-რა!..

(დედაკაცები სიბრალულით უყურებენ მართას)

**1 დედაკაცი** (ცოტა ხნის შემდეგ)
მართლა, ომში ხომ ჩვენ გავიმარჯვეთ
და გივი რატომ აღარ ბრუნდება?..
ახლა ხომ მტერი აღარ გვაწუხებს?—
ჩვენი ქვეყანა მშვიდობით სტკბება!

**3 დედაკაცი** (1 დედაკაცს) იმიტომ, ქალო,
რომ როცა მეფემ
ნახა იმისი თურმე გმირობა,
იხმო თავისთან და ჩააბარა
მთელ ქართველ ჯარის მთავარსარ-
დლობა.

**2 დედაკაცი** (მანანას) მაშ, აღარ მოვა?
თითქო ამბობდნენ,
რომ რაკი გახდა ჯარის სარდლადო
და თან ბატონის ქალიც შეირთო,
ისვე იქნება ერისთავადო?

**მანანა** როგორ არ მოვა? მოვა და მარ-
თლაც
ერისთავადაც ის შეიქნება;
მხოლოდ ჯერ კიდევ უნდა იბრძოლოს
და შეასრულოს მეფის ბრძანება!

**2 დედაკაცი** რა, რა ბრძანება?..

**მანანა** რა და, რომ მტერი
თავს არ გვესხმოდეს და გვაწუხებდეს,
უნდა პატივსა გვცემდეს მარადის
და მოკრძალებით ჩვენ გვიყურებდეს!
ამას-კი მხოლოდ მაშინ მივაღწევთ,
როს შეგნებული ყველას ექნება,
რომ შეგვიძლიან ჩვენცა თავს დასხმა,
არამც თუ მარტო მტრის მოგერება!..

**3 დედაკაცი** (ღიმილით) ხალხის თქმისა-
ებრ, არა მანანა?—
თუ გინდა, დაგრჩეს წყალ გამოღმაო,
უნდა მიუხტე იქით მეზობელს
და წაედაო მას წყალ გაღმაო!..
(ყველანი იცინიან)

**მანანა** ჰო, სწორედ!.. მეფეც ასე მოიქცა:
თვით შეესია თავ-გასულ მტერთა
და ზოგ მათ მხარეს ხარკი დაადო
და ზოგი სულაც შემოიერთა!..
(ყველა აღტაცებულია)
ახლა მეფის წინ რომ ქედს არ იხრის
მხოლოდ ერთი-ღა თათრის ხანია;
მეფესაც გივი დიდის ჯარითა
მის დასასჯელად გაუგზავნია!..

(ყველას უხარიან. მართა ადგება. მანანა დაინა-
ხავს და თვითონაც ადგება. დედაკაცებიც ადგე-
ბიან. მართა მიდის. მანანა და დედაკაცები გა-
მოესალმებიან ერთმანეთს. დედაკაცები მიდიან
ლაპარაკით მარჯვნივ. მანანა გაჰყვება მარცხნივ
მართას შემოდის ნინო, შეხვდება მანანა,
ხელს მოჰკიდებს და მოჰყავს წინ; თან არა
ჩვეულებრივი მღელვარება ემჩნევა).



(შემდეგი იქნება)



ჯარის კაცი
**ემელიან წულაძე**
ოსმალეთის საზღვარზე ბრძოლის დროს დაჭრილი. დასწერა მოგონებანი ,,ბრძოლის ველზე'', რომელიც ჯერჯერობით ვერ იბეჭდება.

## ქართველ მაჰმადიანთა ლექსი

**თამარ მეფის სიმღერა**

(ძველად გამოთქმული ქობულეთში ჰუსეინ-ბეგ ბაჟანიძის-მიერ, გადმოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ)

ათასი კაბა ყმა მყვანდა,
ყველანი ოქროს ღილითა;
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმევდი ბროლის ჭიქითა.
ვინც რომ შემება — შევები,
ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩეს ამას იქითა!..

## ქართველ მაჰმადიანთა კაცთმოყვარეობა

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ 1915 წლ. მე-113 №-ში ვკითხულობთ შემდეგს ფრიად საყურადღებო წერილს ქართველ მაჰმადიანების კაცთმოყვარეობის შესახებ. „როდესაც წარსულ წლის გიორგობისთვეში ოსმალთა ჯარი შეიჭრა შავშეთსა და იმერხევში, მაშინ ადგილობრივი მაჰმადიანები მხოლოდ ოსმალთა ჩამომავლობისა შეუერთდნენ ამ ჯარს, იმერხევის თვრამეტი სოფლის ქართველ მაჰმადიანებმა კი არა თუ არ შემოუშვეს ოსმალნი თავის სოფლებში, არამედ თვის მფარველობის ქვეშ მიიღეს იმერხევში ქრისტიანობის ერთად ერთი ბუდე, სომეხთა სოფელი ფციყური... მიუხედავად ოსმალთა და ნემეცთა მეცადინეობისა, იმერხევის ქართველი მაჰმადიანები დარჩენ რუსეთის და მეზობელი სომხების ერთგულნი. ამ მეზობელ სომეხთა დასაფარავად იმერხევლებმა შეადგინეს შეიარაღებული რაზმები და იცავდნენ მათ მცარცველთა თავდასხმისაგან. რამდენჯერმე იარაღით ხელში წინააღუდგნენ იმერხევის ქართველები ოსმალთა რაზმების შემოსევას, ერთხელ ოსმალთა რაზმებმა გამოუგზავნეს საკუთარი მოციქული იმერხევლებს და თხოვდნენ მიეცათ ნება ფციყურის სომხების გაძარცვისა. მაგრამ იმერხევ ლთა მოხუცებულებმა უპასუხეს: „მხოლოდ ჩვენს და ჩვენ ცოლშვილთა ლეშებზე შეგიძლიათ შეხვიდეთო ფციყურში“. . ამ ნაირად ოთხი თვის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მოელოდათ სიკვდილი და აოხრება, იმერხევის ქართველები იცავდნენ ფციყურს, სანამ რუსის ჯარი იმერხევში შემოვიდოდა“...

ამ წერილის დამწერია ვიღაც ატრპეტი, ჩვენი ფიქრით სომეხი, რომელიც სამართლიანად დასძენს ამასთანავე, რომ „შავშეთი აღაოხრეს ოსმალებმა, — ხოლო ფციყური ქართველ მაჰმადიანების მოუსყიდველობის და რაინდობის მეოხებით გადარჩა ოსმალთა ძალმომრეობას“...

კარგი და პატიოსანი! ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით და ვართ იმაში, რომ ქართველი მაჰმადიანები ბუნებით და ისტორიული აღზრდის მეოხებით რაინდები არიან და კაცთმოყვარეობით ეპყრობიან ქრისტიან მეზობლებს, რის ცხადმყოფელი მაგალითი ზემოთ მოყვანილია... მაგრამ ექცევიან თუ არა მათ ასეთივე კაცთმოყვარეობით მეზობელი ქრისტიანების ზოგიერთნი წარმომადგენელნი?!

**ილ. თეზზიტელი**

## დედის მკვლელი

(იხ. „თ. და ც.“ № 15)

როცა კაცი დროს გასვლას ელოდება, საუკუნოდ ეჩვენება. მომლოდინე ამ დროს დიდ მოუთმენლობას განიცდის. მართლა და თითქო ამ ცდაში დრო ჭინზე არ გადიოდესო. ისე იყო სოფრომის მდგომარეობა. ჯერ მთელი კვირის განმავლობაში დედის ამბის გაგებას მოუნდა და ახლა, როცა ყოველივე შეიტყო, დალამებას არაფერი ეშველა.

რატომ უცდიდა ის დალამებას? რატომ დღისით არ მიდიოდა დედასთან? დღისით მას დაიჭერდენ და სასტიკად გაასამართლებდენ, მით უფრო რომ მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა ყაჩაღების მოსასპობად. ახლა სოფრომას ისიც აწუხებდა, ვაი თუ დედაჩემი შინ არ დამიხვდეს და ტყუილად მომიხდეს მისვლაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიას მათხოვრობა მართალი იყო. მაშ რა ექნა? შვილმა რაც ფული დაუტოვა, ის მამასახლისმა წაართვა. მას შემდეგ შვილის ვერა გაიგო რა. ბოლოს გადაწყვიტა, ალბად მომიკლა ვინმემო და ბევრი ტირილის შემდეგ გამოიგლოვა სოფრომა. მარტო დარჩენილ მაიას შრომა არ შეეძლო თავი რომ ერჩინა და ამის გამო მათხოვრობას მიჰყო ხელი. ის დადიოდა სოფლებში, თავის ნაცნობებში ჩანთით და რასაც შოულობდა, ჩანთაში უყრიდა თავს. ხანდახან თუ გზაში დაუღამდებოდა კეთილ მოსახლეს სთხოვდა და ისიც ათევინებდა ღამეს. გასაკვირველი ის იყო, რომ მთხოვარა ქალს თავის ბახუცთან დაყვებოდა, თითქო მისი საჭურისიაო და ეს ორი მგზავრი ყოველთვის ერთად მოგზაურობდა.

როგორც იქნა ჩამოღამდა, ხევი სიბნელით დაიფარა, რომელი დროც სოფრომასთვის დღე იყო და ისიც მოემზადა შინ წასასვლელად. მაუზერის ბერდენა მხარზე გადაიგო, იარაღი აისხა, ნაბადი მოიხურა, თავპირზე სუფთა ყაბალახი ჩამოიხურა, ლევორველი ხელში მოიმარჯვა, გამოვიდა გამოქვაბულიდან და გაუდგა გზას.

მის წასვლის დროს ყველა ყაჩაღები არ იყვნენ გამოქვაბულში და ვინც იყო — სოფრომამ მათ ამბად დაუგდო, თუ სად მიდიოდა. ამასთან დაბრუნების დროც დაუნიშნა, რადგან იმ ღამეს ერთ ვისმეს უნდა დახვედროდნენ გასაძარცვავად. ის ძალიან ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, უნდოდა მთლად დაღამებამდის გამოსულიყო იქიდან, მაგრამ ხევის გამოსვლას მაინც დიდხანს მოუნდა. ასე რომ, როცა ეს ჯოჯოხეთური და უტეხი ტყე ღრენი გამოათავა, კარგა დაღამებული იყო. ხევი რომ გამოათვა, ერთ ალაგს, მშვენივრად გაშლილ მინდვრის ბილიკზე ჩამოჯდა ბუჩქებში შესასვენებლად და რომ წარმოიდგინა ეს მოკლე დროის მგზავრობა ამ საშინელ ადგილებში, ძალიან გაუკვირდა თავისი შემძლებლობა და თვის-და უნებლივ წამოიძახა: „რამდენი შეუძლია კაცსო“. აქ კიდევ დარჩებოდა ცოტა ხანს, მაგრამ საიდანღაც გრუხუნი მოისმა. გრუხუნის ხმამ სოფრომა წამოაგდო ზეზე. სოფრომამ ცას შეხედა და რაკი შენიშნა წვიმა მოვაო, ცოტა ეწყინი, მაგრამ მაინც [illegible] ჩააგდო, გადმოეშვა შარაგზაზე და გაუდგა სოფლისკენ. პირველ გრუხუნს საშინელი ჭექა-ქუხილი მოჰყვა და კოკისპირული წვიმა. სავალი გზა საშინლად ატალახდა და ყაჩაღს ფეხები უკან რჩებოდა. ვითომ დაბრუნებაც მოინდომა, მაგრამ აღარ ეხერხებოდა. გზა საკმაოდ ქონდა გამოვლილი, სოფელი არც ისე შორს მოსჩანდა და ახლა უკან გაბრუნება დაეზარა. გზაში ძალიან ფრხილად მიდიოდა. თვალს გაფაციცებით ადევნებდა აქეთ-იქით — არავინ დამინახოსო და ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავის წარსულს ხედავდა ქოხში რომ მოუსწრო მამასახლისმა. „ნუ თუ ეხლაც მომისწრობსო, მარა რო არ იცის მე თუ აქა ვარ... ამ ამინდში ვინ იქნება გაბედოს გამოყოლა და მზვერაობა. მთელი ქვეყანა იქცევა“. ფიქრობდა თავის გულში და წინ მიდიოდა. მაგრამ ნახეთ მისი განცვიფრება, როცა მას ახლოდან ფეხის ხმა მოესმა. ის უცებ შეჩერდა, განგებ გაჰყურა; მაგრამ ამ დროს დაიგრუხუნა და ყოველი მსოფლიური ხმაურობა ცის სტიქიონთა რუხრუხმა დაფარა. გრუხუნმა რომ გადაიარა, სოფრომა ისევ შეჩერდა და ელვას დაუცადა, რომ მის სინათლეში გაერჩია ვინ მოსდევდა, მაგრამ ამ დროს ისე უცებ გაიელვა, რომ იმან ვერაფერი გაარჩია..

ეგ. ფურცხვანიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# თეატრი პროვინციაში

მეოცე საუკუნე — ეს ჩვენი ხალხის გამოფხიზლების საუკუნეა. დღეს საზოგადოებამ დაინახა, რომ ის დახავსებული გზები, რომლითაც აქამდე ვიდოდა — მხოლოდ სიბნელისაკენ მიუთითებდა. ის უფერული ცხოვრება, რომელსაც ხალხი აქამდე ეწეოდა, უვარგისი, დახავსებული გამოდგა და მას აუცილებლად ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა ესაჭიროება. თუმცა გვიან, მაგრამ პროვინციამაც ქალაქს მიჰბაძა; ახალს საშუალებებს ეძიებს ძველი ცხოვრების კედლების შესანგრევად და სულ მალე — პროვინციაშიაც გაჩაღდება დაუცხრომელი კულტურული მუშაობა. ამის საიმედო ნიშნებსაც დღითი-დღე ვამჩნევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, რომ ყველა ჩვენი კულტურული საქმიანობის დასაწყისად ქართული ხელოვნება ითვლებოდა აქნობამდე და ითვლება დღესაც; რომ თეატრი — ეს ჩვენი ხალხის გათვითცნობიერების ტაძარია, კულტურის ზრდის დაუშრეტელი წყარო. პროვინციამ შეიგნო რა მისი დიდი კულტურული დანიშნულება, გვერდით ამოუდგა ქალაქს, თავგამოდებით დაეწაფა ხელოვნებას და დღე არ გავა ისე, რომ სოფლად თუ დაბებში სცენის დაარსებისა, ანუ წარმოდგენების მართვის ამბებს არ მოვკრათ ხოლმე ყური.

თუ რამდენად დიდია პროვინციაში მცხოვრებთა გონებრივი მოთხოვნილება, კულტურისაკენ ლტოლვილება და რავდენად გაუდგამს იქ ფესვები სათეატრო ხელოვნებისადმი სიყვარულს, ამის დამამტკიცებელ საბუთად პატარა სოფელ ზემო-გომელების (გორის მაზრა) მაგალითს მოვიყვან აქ: 12 მაისს სადგურ გომში მცხოვრებნი ინტელიგენცია და მოვაჭრენი შეიკრიბნენ და ერთხმად დაადგინეს შეუერთდნენ ხაშურის ქართ. დრამ. წრეს, ჩაეწერონ სრულუფლებიან წევრებად, აირჩიონ სამზრუნველო კომიტეტი — საპატიო და ენერგიულ პირთაგან შემდგარი და სოფელ ზემო-გომშიაც დააარსონ მუდმივი სცენა, სადაც ხაშურის დრამ. წრის გამგეობა გაჰმართავს სისტემატიურად ქართულს წარმოდგენებს. სამზრუნველო კომიტეტში არჩეულ იქმნენ: მიხეილ კვალიაშვილი, იპოლიტე კაველაშვილი, ილიკო კაკაბაძე, კაკო მ. სიაშვილი, გაბრიელ შანშიაშვილი, მიხეილ სილვესტროვი, არჩილ კეკელიძე და ვარლამ გოგუა. რადგან გომი თვალჩასინო სამრეწველო ბაზარია და ირგვლივ მრავლად აკრავს მოზრდილი სოფლებიც, რომ უფრო მკვიდრი ნიადაგი ჩაეყაროს თეატრს და სოფელმაც მახლობელი მონაწილეობა მიიღოს თეატრის ბედ-იღბალში, — ამავე კრებამ ერთხმად დაადგინა დამხმარე საპატიო წევრებად მოწვეულ იქმნენ: ბრეთის ხეობიდან კნ. მაკრინე ქაიხოსრის ასული ამირაჯიბისა; ავლევის ხეობიდან — კნ. ქეთევან ჯიბრაილის ასული ამირაჯიბისა; ქარელიდან — კნ. ნინო მიხეილის ასული ციციშვილისა; სოფ. ვაყიდან — კნ. თამარ გრიგოლის-ასული ბეგთაბეგიშვილი; გომიდან — თლი ვასილ ელიშერის-ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი და სოფ. წრომიდან - გიორგი ბეჟანის-ძე ტატიშვილი. ამავე დღეს შემდგარ კრების დადგენილებით არჩეულ კომიტეტს ევალება იზრუნოს გომში არსებულ კულტურულ დაწესებულებათა გასაუმჯობესებლად. მეორე სხდომა 13 მაისს მოახდინა გომის საზოგადოებამ და აირჩია სამი პირისაგან შემდგარი კომისია ხაშურის დრამ. წრის გამგეობასთან მოსალაპარაკებლად — შეერთების და აგრეთვე ახლო მომავალში წარმოდგენების დადგმის შესახებ. 14 მაისს — ხაშურის წრის გამგეობამ — გომელების წარმომადგენელთა თანდასწრებით იქონია მსჯელობა და ერთხმად დაადგინა, შემოიერთონ გომის რაიონი, მიიღონ სრულ უფლებიან წევრებად მსურველნი, მიანიჭეს უფლება გამგეობის სამი წევრის არჩევისა, რომელნიც სრულის ხმით შევლენ ხაშურის გამგეობაში და გადასწყვიტეს პირველი წარმოდგენის დადგმაც 24 მაისს გომის სამეურნეო ამხანაგობის შენობაში დაიდგა შეერთებული წრის მიერ პირველი ქართული წარმოდგენა, რომელსაც ზღვა ხალხი დაესწრო და უადგილობისა გამო, ბევრი უკან დაბრუნდა. აი 24 მაისიდან ფეხს იკიდებს გომში ქართული ხელოვნება. ამ დღიდან იწყება ცხოველმყოფელი და ნაყოფიერი მუშაობა გომის მოწინავე პირებისა და ეს დღე დიდის ასოებით უნდა აღინიშნოს ქართული სათეატრო ისტორიის ფურცლებზე. გომში ამჟამად სცენაც მოწყობილია და თუმცა მოწყობილება ჯერ-ჯერობით ღარიბულია, მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გომის ახლო მდებარე სოფლებში მცხოვრები ინტელიგენცია და შეგნებული პირებიც თავიანთ ყურადღებას არ მოაკლებენ გომში დაარსებულ სცენას და ხელოვნების მკვიდრსა და საიმედო ნიადაგზე დაყენების საქმეს შესაფერს დახმარებას აღმოუჩენენ. არ შეიძლება უყურადღებოდ დავსტოვოთ გომის ბოქაულის პ. სანდრო მაისურაძის შრომა და თანაგრძნობაც ამ კეთილ საქმის საკეთილოდ დაგვირგვინებაში ბ. მაისურაძეც ერთ იმ ინიციატორთაგანია, რომელთაც მოიფიქრეს გომში თეატრის დაარსება და რომელთაც საკეთილოდ დააგვირგვინეს ეს ფრიად სასარგებლო საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთი რჩევა მსურს მივსცე გომელებს: აუცილებელ მიზნად უნდა დაისახონ გომში, თვალსაჩინო ადგილას საკუთარი მიწა შეიძინონ, ააგონ ზედ მოზრდილი შენობა, რომელშიაც თავი უნდა მოუყარონ ყველა კულტურულ დაწესებულებებს: საკრედიტო ამხანაგობას, სამკითხველოს და სცენას (ეს ადგილი მოსახერხებელია, რადგან საკრედიტო ამხანაგობას 800 მანეთი უკვე ჰქონია მოგებიდან გადადებული შენობისათვის) და ამ ნაირად, ქართლის თვალსაჩინო ადგილას ჩაეყრება საძირკველი ისეთს სამაგალითო საქმეს, რომელიც გონებრივს საზრდოს მიაწოდებს სოფელს და თვითგამორკვევის სხივებს მოჰფენს სიბნელეში მყოფს მიდამოს.

ნიკო სიხარულიძე

# ქართული სახიობა

**ბაქოში სახალხო წარმოდგენა** გაიმართა კვირას, 28 ივნისს, ე. თალაკვაძის რეჟისორობით. წარმოადგინეს „უმუშევარნი“ ბელოისა. როლების ამსრულებელთა შორის პირველობა ე. თალაკვაძეს ეკუთვნის, იგი ნამდვილი გერასიმე იყო, თამაშობდა ბუნებრივად და სადად. კარგები იყვნენ გრედვე ვ ზუგდიდელი (სტეპანე) და ბ. ინოური (ეგორ); ბ. წულუკიძე (დედა). აქა-იქ აჭარბებდა, მაგრამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

წარმოდგენას საერთოდ მოუმზადებლობა ეტყობოდა. საჭიროა პიესები უფრო მხატვრულად იდგმებოდეს. ხალხი არაჩვეულებრივ ცოტა დაესწრო.

მ—ი

**ბორჯომში** მთელი ზაფხულით გვეწვია რუსული დასი „დრამატიჩესკი ანსამბლი“,—დირექცია ნ. მაკინცევისა და ვ. ლევენისა, რომელიც გამართავს რუსულ წარმოდგენებს, ეგრედ წოდებულ, მინერალურ პარკის სათეატრო დარბაზში. ეს დარბაზი გადაეცა ხსენებულ დასს უფასოდ. ამ დასს აზრადა აქვს აქედან იმოგზაუროს ახლო-მახლო დაბა-აგარაკებშიაც: ხაშურს, სურამს, წაღვერს, ბაკურიანს და სხ.

სეზონი გახსნეს პარასკევს, 26 ივნისს; დასდგეს „Цѣна жизни“. პიესამ სასურველად ვერ ჩაიარა.

დ—ე

**სოფ. მარტყოფში** (თბილისის მაზრა) კვირას, 28 ივნისს, აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად ადგილობრივ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „პატარა კახი“.

წარმოდგენის დასაწყისს ქალ. ბ. ი. ბერიშვილის ასულმა წაუკითხა დამსწრეთ მოკლედ და საზრიანად დაწერილი აკაკის ბიოგრაფია—მოღვაწეობა. რკაგი კი იქნებოდა, რომ უფრო მარტივი და ადვილად გასაგები ენით ელაპარაკნა, თორემ მისი წანაკითხი დამსწრეთა დიდი უმრავლესობისათვის ძნელად გასაგები გამოდგა: კარგია, რასაკვირველია, როდესაც ჩვენს პოეტ-მწერალს ვადარებთ სხვა ქვეყნის რომელიმე გენიოსს, მხოლოდ ამისთვის უეჭველად საჭიროა განსაკუთრებული აუდიტორია, მომზადებული მსმენელი. უნდა მოეხსენებოდეს ქალ. ბერიშვილის ასულს, რომ არამც თუ მარტყოფელი გლეხ-კაცი, ჯერ მარტყოფელი ინტელიგენტიც არ არის იქამდინ მომზადებულ-მომწიფებული, რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს პუშკინ-ჰეინე-ბაირონ-ვიქტორ ჰიუგოზე... მისაც გაქვთ კეთილი სურვილი გაუღვიძოთ გლეხს ლტოლვა-მისწრაფება სწავლა-განათლებისადმი, საუბრის დროს ნუ მოაწყენთ მას, ნუ გახვევთ გაუგებრობის ბურუსში.—უთხარით ცოცხალი რამ ცოცხალი და სხარტი ენით...

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ აუარებელ დამაბრკოლებელ პირობებს, თუ გავითვალისწინებთ აქაურ „მოწინავე პირთა“ სრულს დაუძლურებას, რომელნიც, გარდა რამდენიმე პირისა, არავითარ აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობენ არაფერ კულტურულ საქმეში და დროს მხოლოდ უაზრო ლაყბობასა და ქორაობაში ატარებენ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. თვალსაჩინო ნაკლიც ბევრი იყო, რასაკვირველია, მაგრამ, ვიმეორებ, მარტყოფის სცენის მოყვარეთ ისეთ პირობებში უხდებათ მუშაობა, რომ ამ ნაკლზე ლაპარაკიც არ ღირს. განსაკუთრებით დაკვირვებულის თამაშით ირჩეოდნენ ქ-ნი ეკ. თუშმალიშვილის ასული (ტურფა), ვ. ეპიტაშვილი (კახი) და გ. ხევსურიგელა). გვარიანად ითამაშეს აგრეთვე ბ. ბ. ნ. სიდომონიძემ და გრ. მომცემლიძემ, პირველმა გივი, ხოლო მეორემ მეფე. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. საერთოდ, ჩვენს გლეხ-კაცს (მეტად მოსწონს ისტორიული პიესები. წმინდა შემოსავალი, დაახლოვებით 30 მან., გადაეცა მარტყოფის სამკითხველოს. ვსარგებლობ შემთხვევით და აღვნიშნავ აქვე, რომ დიდი მადლობის ღირსნი არიან ქ-ნი რახიელ ბეჟანიშვილი, მასწავლ. ელენე კუხიანიძე და ბ-ნი ღვთისო სალუხუციშვილი, რომელნიც **პირადის შრომით** მუდამ ხელს უწყობენ ადგილობრივ თეატრ-სამკითხველოს წინსვლას.—

ჯიუტიტო

**ს. როკითში** (ქუთაისის მაზრა) შაბათს, 20 ივნისს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს გ. ერისთავის „ძუნწი“ და დ. აწყურელის ვოდ. „ორი მშიერი“. წარმოდგენამ საზოგადოთ მწყობრად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს „ორი მშიერი“, რომელმაც ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება. მეოთხე განყოფილებაში იაკინთე აბულაძის შვიდი წლის პატარა ქალმა მშვენივრად წაიკითხა ქართული ლექსები, რასაც ხალხი აღფრთოვანებით შეეგება. დასასრულ როკითის მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდმა იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღერა „მზე შინაო“, „მაღლობზე გადმომდგარიყო“ და ყარაშვილის ცნობილი „სამშობლო“. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა სიმღერები. გასაკ ირველია, რომ სოფლის გუნდი ასეთ რთულ მუსიკალურ ნაწარმოებთ ჰარმონიულად, მელოდიათა შეთანხმება-ანსამბლის წესების დაცვით ასრულებს.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

— ლი

# წვრილი ამბები

**ახალი პიესები დაწერეს** 1) დ. კოპალმა „აკაკის საფლავზე“, ესკიზი ერთ სანახაობად და 2) მიხ. გერმანიშვილმა—„სწავლა და სიღარიბე“ ვოდ. ერთ მოქმედებად.

**ცნობილმა მწიგნობარმა პ. მირიანაშვილმა** შეადგინა წიგნი „ძველი და ახალი ქართული შაირობა“, განმარტებით, რომელიც იწყება იოანე შავთელით (XII ს.) და თავდება რაფ. ერისთავით. ამ წიგნში პოეზიის უმთავრეს მოტივებს გარდა კლასიკური ხასიათის პოემებიც ამბად იქნება გადმოცემული. შემდგენელს მასალა ისე შეუმზადებია, რომ ზოგიერთი შეუფერებელი ადგილი გამოუტოვებია ზოგი. შეუკვეთებია, რომ სხვადასხვა რჯულის აღმსარებელ ქართველთა სარწმუნოებრივ გრძნობისთვის საჩოთირო არ იყვეს.

**მხცოვანი მსახიობი ვ. აბაშიძე,** რომელიც ჯანზე სუსტად არის და დასვენება საჭიროებს, უსახსრობის გამო ამ ზაფხულს ისევე თბ ლისში რჩება და კლუბების წარმოდგენებში მიიღებს მონაწილეობა-ს ხოლმე, საცხოვრებლის საშოვრად. ურიგო არ იქნებოდა, ორიოდე თვით გავგზავნათ წაღვერს ანუ სხვა აგარაკში დასასვენებლად.

**ცნობილი ბელეტრისტი** ი. ცინცაძე—იაეკალაძე, „სამშობლოს“ რედაქტორ-გამომცემელი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გამგემ მასწავლებლობიდან დაითხოვა.

**ქართ. დრამატ. საზ. გამგეობამ** მსახიობ ალ. ალექსიძეს ავადმყოფობის დროს 40 მან. შემწეობა აღმოუჩინა, ხოლო დასაკრძალავად – 60 მან.

**განსვენებული ახალგაზდა მსახიობი** ალ. ალექსიძე 7 ივლისს დაკრძალეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრნენ სხვათა შორის, მხცოვანი მსახიობნი: ეფ. მესხი, ვ. აბაშიძე, ახალგაზდა მსახიობნი, ჟურნალ-გაზეთების წ რმომ დგენელნი და ნაცნობ-მეგობარნი. კ ბოს ორი გვირგვინი ამკობდა.

**შალვა დადიანი** სწერს დიდ ისტორიულ რომანს გ. სააკაძის ცხოვრებიდან „ანდერძი“-ს სათაურით.

**ოქმები** „სრულიად საქართველოს მოღვაწეთა პირველი ყრილობისა“, უ ვე იბეჭდება.

**„ვეფხის ტყაოსანი“** სადა ამბად გადმოიღო პეტრე მირიანაშვილმა. წ გნის ბეჭდვას მოკლე ხანში შეუდგება, გარემობა ხელს შეუწყობს თუ არა.

**პროვინციის დამსახურებულ სცენის მოყვარულის** მარკოზ ჭანკვეტაძის 15 წლის სასცენო მუშაკობის აღსანიშნავად ზესტაფონში ამ მოკლე ხანში წარმოდგენა გაიმართება.

**„თეატრი და ცხოვრების“—ქართველ მაჰმადიანთა ნომერში** შემთხვევით გამოგვრჩა აღვენიშნა ბ-ნი პ. მირიანაშვილი, რომელმაც ქართველ მაჰმადიანთათვის სთარგმნა „ყურანი“ (ამ წიგნის დასაბეჭდად შესწირეს ქართ. თავ-აზნ. 1000 მან., დ. ზ. სარაჯიშვილმა– 250 მ.) და აგრეთვე წერით თუ სიტყვით დიდათ ხელი შეუწყო ქართველ მაჰმადიანთა სულიერ აღორძინებას. გამოგვრჩა აგრეთვე გრ. ვოლსკი, დ. კლდიაშვილი და სხ., რ მელთაც ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ურთიერთობის განმტკიცებას საძირკველი ჩაუყარეს.

**თელავში სალიტერატურო საღამოს** ამ მოკლე ხანში გამართავს შალვა დადიანი მგოსან სანდრო შანშიაშვილის მონაწილეობით.

**მ. კავსაძე თავის გუნდით** კახეთს გაიწვიეს სხვადასხვა ადგილას კონცერტის გასამართავად.

**ქართველ მსახიობთა** ერთი ჯგუფი ამ მოკლე ხანში დუშეთში წარმოადგენს შალ. დადიანის პიესას „შენი ჭირიმე!“-ს საკონცერტო განყოფილებით.

**პეტროგრადში იბეჭდება და ამ ერთ კვირაში გამოვა** მელიტონ ბალანჩივაძის რომანსები: 1) ტყემ მოისხა ფოთოლი და 2) ნანა შვილო.—ილ. ჭავჭავაძისა. 3) როდესაც გიცქერ, გრ. აბაშიძისა. 4) შენ გეტრფი მარად—გრ ვოლსკისა 5) სამშობლო ხევსურისა —რ ერისთავისა, ქართულ-რუსული ტექსტებით. რუსულად ნათარგმნია ი. ივაშკევიჩის-მიერ. თითო რომანსი ღირება 50 კაპ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ Петроградъ Владимірскій пр. 10, кв. 26. ალექს. აბაძეს.

**საბურთალოს დრამ. წრის** კრება შესდგება დღეს ადგილობრივ თეატრში.

**აჭარელთა შესახები წიგნი** შეადგინა ახმედ ფულაძემ.

## უცხოეთს შორის

**სარა ბერნარი,** სახელგანთქმული მსახიობქალი, სწორედ სასწაულმომქმედია. თუმცა ფეხი მოჰკვეთეს და უკვე სამოცდა ექვსი წლისაა, სცენის მიტოვებას არ ფიქრობს. ამას წინად ერთი გაზეთის თანამშრომელს განუცხადა: წამოვდგ ბი თუ არა, პირველად ბორდოში საღამოში მივიღებ მონაწილეობას მერე პარიზში ვითამაშებ, ახალ როლს „შევქმნი“ და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნნეს ახალ პიესაში, ამას შემდეგ კი ამერიკასა და ინგლისს გავემგზავრები საგასტროლოდო. განა რომ მტკიცე ხასიათისა ყოფილა: ფეხშედგმული, 66 წლისა და გასტროლიორობა ძველსა და ახალს ქვეყნებში.

** იბსენის სამუშაო კაბინეთს** ჰმართვენ ქრისტიანის სახალხო მუზეუმში.

**ლონდონის თეატრში** ომის გამოცხადებისთანავე ომის შინაარსიანი პიესების წარმოდგენა დაიწყეს, თითქმის ყველა პიესის შინაარსი ერთნაირია: გერმ ნელთა შეთქმულება, რომელსაც ინგლისელთა შეთქმულება ამხობს, ჯაშუშობა და სხ. საოხუნჯოდ გამოყვანილია ვილჰელმი და მისი სარდლები. ასეთ პიესებს მაინცა და მაინც გასავალი არა აქვს, თუ ესწრება ვინმე—ისევ ბრბო, შეგნებული ხალხი და საზოგადოება-კი უფრო კლასიკურსა და ისეთ პიესებს ეტანება, რომლებშიც ომის ხსენება არ არის.

**რეინგარდტის თეატრი ბერლინში** ვადაზე ადრე დაიკეტა, რადგან დასში მონაწილეთაგან 80 კაცი ბრძოლის ველზე გაიწვიეს.

**იტალიის მხცოვანმა კომპოზიტორმა მარიო კოსტამ** ომის გამოცხადებამდე გ. დ,ანუნციოს შეუთვალა: სიბერის გამო ბრძოლის ველზე აღარ გამოვდგები, მაგრამ ჩემის სამშობლოს სადიდებლად მსურს საგალობელი დავსწერო.ამიტომ გთხოვ გამომიგზავნო შენი სადა და დიდებული. რომში წარმოთქმული, სიტყვები.ამ სიტყვებს ჰანგებს შევუწყობ და მერე მთელი იტალია იმღერებს. ეს იქნება ჩემი გედის სიმღერაო".

**რუსეთის ბეჭდვითი საქმის მთავარგამგეობის უფროსმა** გუბერნატორებსა და ქალაქთა უფროსებს ისწერა—ლ. ანდრეევის პიესის „დღენი ჩვენი ცხოვრების" დადგმის ნებართვის მიცემის დროს ანტრეპრენიორებს მოსთხოვეთ, რომ მირონოვის როლის აღმასრულებელი სცენაზე სამხედრო ტანისამოსით არ გამოუშვანო.

**სარეჟისორო სკოლის** მოწყობა განუზრახავს რუსეთში ჩვენს თანამემამულე კ. ა. მარჯანიშვილს, ნ. ა. პოპოვს და პ. პ. ლუჩინინს. სკოლასთან მოეწყობა წიგნთსაცავი, მუზეუმი, სამხატვრო, დამხმარე ბიურო, კურსები, გამოფენები, სანიმუშო წარმოდგენები, გასტროლები და სხ. სკოლის მიზანია სარეჟისორო-სამხატვრო ხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყოს.

**სინემატოგრაფის საქმე** სწრაფად ვითარდება და წინ მიდის

**ე. ვ. გელცერმა** რიგასა და ვარშვას საგასტროლოდ წასვლა უარჰყო და გადასწყვიტა კავკასიისკენ (კისლოვოდსკსა და პიატიგორსკს) გაემ ზავროს

## შემოწირულება

**აჭარელთა** სასარგებლოდ მღ. რაჟდენ ზაქრიაშვილმა—5 მან.

## მწიგნობრობა

**Акакій и его поэзія**—აკაკის ბიოგრაფია, მიცვალება და დაკრძალვა, ზოგიერთი სიტყვები, ლექსები პრესის აზრი, თვით აკაკის რჩეული ლექსები, სამგლოვიარო დეპეშები და სხ., ხუთმეტამდე სურათით. შედგენილ-გამოცემული ა. ალდონის მიერ, 180 სვეტი (90 გვ.), 50 კ. ამ წიგნის შემდგენელ-გამომცემელმა გვიჩვენა,რა შეუძლიან მუყაით თაოსანს—ერთის მხრით და მეორე მხრით—რა დაუდევრობას იჩენს ჩვენი ინტელიგენცია. ქართულად ასეთი წიგნი დღემდისაც უნდა გამოცემულიყო, მაგრამ სად არის? სამწუხაროდ ამ წ გნაკში კორექტურული შეცდომებია შეპარული, ქართული პრესის აზრი აკაკის შესახებ სავსებით ვერ არის გადმოცემული და სხ

მაგრამ რაც ერთმა კაცმა შესძლო—ამისი მადლობელიც უნდა ვიყოთ. იმედია მეორე გამოცემაში ნაკლს აიცდენს.

## წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" № 23-ში, შორსმყოფელმა წავიკითხე რეცენზია ხელოსანთა კლუბში გამართულ საღამოს შესახებ.იქ ჩამოთვლილია ყველა ხელოსანი მწერალ-მგოსანი,რომელნიც თავთავიანთ დარგში, ეჭვი არ არის, ღირსეულ მუშაკს წარმოადგენენ. მაგრამ — მაგარიც ის არის რომ —გული დამწყდა, როცა მათ შორის ვერ აღმოვიკითხე ისეთი ცნობილი მხცოვანი მოლექსენი როგორც არიან: ჰ ა ზ ი რ ა, დ. გ ი ვ ი შ ვ ი ლ ი და გ. ს კ ა ნ დ ა რ ნ ო ვ ა პირველი—აშულია, მეორე—წიგნების მოვაჭრე ავლაბარში და მესამე—მხატვარი (маляръ).ეს სამი სახალხო მოშაირე თითქმის 45—50 წელიწადი იქნება რაც ლექსაობს და მართალი უნდა ითქვას, რომ ბევრ ღარიბ და უსწავლელ მუშა ხალხს შეაყვარეს წიგნი და ღრმად ჩაუნერგეს კითხვა-სწავლის ხალისი. მათი (ამ სამი მგოსნის) გავლენით ბევრი შემდგომ დაეწაფა ჩვენს ცნობილ-მწერალთა ნაწარმოებთ, და თვით ხსენებულ საღამოშიც ბევრი იღებდა მონაწილეობას ჰაზირას, გივიშვილის და სკანდაროვის ლექსებზე აღზრდილი. ვინ არ იცის, ვინ არ მღერის: „აღზდეგ თამარ დედოფალო" (ჰაზირასი), „მითხარ, მითხარ რას მენდური, შენი გულისა" (გივიშვილისა) და „ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია!" (სკადარნოვასა) და სხვა მრავალი სიმღერა. მე ამ ბარათით არც არავის წყენა მსურს და არც ქება, მე მხოლოდ როგორც პოეზიის მოყვარულს, გული დამწყდა-მეთქი--რომ სხვა ხელოსან მგოსანთ შორის ეს სამი ცნობილი სახალხო მგოსანი არ აღმოჩნდა. ვისი ბრალია ნეტა?

პატ. **ი გ. მამულაშვილი**

Дозволено Военной Цензурой

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება**

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ**

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

---

| **წლიწადი მესამე** | **მიიღება ხელმოწერა 1915 წ.** ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ | **წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.** |
|---|---|---|

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშე** ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნას“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—**ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში **ს. ეპიტაშვილთან**

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 ვვ. ორიგებით, **2**, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ.

ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძებველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9

ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ

საკუთარ სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც პუშკინის ქუჩაზე

## ნომრები „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)




## Открыта полугодовая подписка

съ 1 Іюля по 3 Декабря 1915 года на ЖУРНАЛЪ **„ТЕАТРЪ И ИСКУССТВО“**

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой 4 р. 50 к. (За границу 7 руб.)

Ежемѣсячныя приложенія „Библіотеки Театра и Искусства“ съ пьесами текущаго репертуара. Въ вышедшихъ книгахъ за первое полугодіе помѣщены: **„Пигмаліонъ“** Бер. Шоу. **„Пѣвецъ своей печали“** О. Дымова, **„Домъ“** В. Тардова, **„Чудо герой“** Джона Синга, **„Слѣпая любовь“** Н. Грушко, миніат. Куприна, М. А. Любимова, О. Дымова, М. А. Потапенко, С. Юшкевича и др. Намѣчены къ печатанію въ слѣдующихъ книгахъ: **„Осеннія скрипки“** И. Сургучева, **„Начало карьеры“** В. Рышкова, **„Вѣра Мирцева“** Л. Урванцова, **„Кровь“** С. Шиманскаго и др. **ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ** съ 1 Января—8 руб. Новые годовые (съ 1-го января) подписчики получать всѣ вышедшіе №№ со всѣми приложеніями. Отдѣленый **№ 20** коп.

Главная контора: Петроградъ, Вознесенскій пр. д. 4. Телеф. 16—69. (4—1)


Типографія „Сорапань“

სტამბა „სორაპანი.“